№ 156

ოთხშაბათი, 22 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 156

ოთხშაბათი, 22 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ივლისს.**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო**. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე**.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ზ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## თავადი ოტტონ-ლეოპოლდ-ედუარდ ბისმარკი

გუშინწინ დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ 19 ივლისს, საღამოს 11 საათზედ, ფრიდრიხსრუეში, თავადი ბისმარკი გარდაიცვალაო. სწორედ ორი თვეა მას შემდეგ, რაც დეპეშამ ასეთივე ამბავი გვაუწყა გლადსტონის შესახებ. ამრიგად წელს ევროპამ დაჰკარგა ორი უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე, ამ საუკუნის ორი უდიდესი და უშესანიშნავესი კაცი, რომელნიც კარგა ხანს განაგებდნენ მთელის ქვეყნის ბედ-იღბალს. როგორც გლადსტონის, აგრეთვე ბისმარკის გარდაცვალებამ ყველანი აალაპარაკა. როგორც გლადსტონმა, აგრეთვე ბისმარკმა იმდენი იშრომეს, იმუშავეს, იმოღვაწეს და გააკეთეს; იმდენი ჭკუა, ძალა და უნარი გამოიჩინეს, რომ შეუძლებელი იყო იმათ გარდაცვალებას შეუმჩნევლად ჩაევლო. მაგრამ მაშინ, როდესაც გლადსტონის გარდაცვალებას მთელი ქვეყანა ჰგლოვობდა და სტიროდა, ბისმარკის გარდაცვალებამ, გერმანიის გარდა, ძნელად თუ ვისმეს ცრემლი გადმოაგდებინოს. „დიდებულის მოხუცის“ ცხოვრების მიზანს, იმის ყოველის მოქმედების დედა-აზრს სიყვარული, დაჩაგრულის აღდგენა, დამონავებულის განთავისუფლება და სიმართლის გამეფება შეადგენდა, ხოლო „რკინის კანცლერის“ მისწრაფება და გულითადი სურვილი იყო მარტო ერთის სახელმწიფოს გაძლიერება, ცეცხლითა და მახვილით მშვიდობიანობის დამყარება და თავისუფლების მოსპობა. მაშინ როდესაც გლადსტონის მაღალი ნიჭი და სიყვარულით აღსავსე გული სიმართლისა და ჭეშმარიტებისაკენ მიისწრაფოდა, ბისმარკის ძლიერი ჭკუა-გონება, მოუდრეკელი, მტკიცე ხასიათი ერთის გაუბედურებით მეორის გაბედნიერებას სცდილობდა.

თავადი ოტტონ-ლეოპოლდ-ედუარდ ბისმარკი დაიბადა 1814 წლის პირველ აპრილს პრუსიის ერთს პროვინციას, ბრანდენბურგში; მაშასადამე გარდაიცვალა 84 წლისა. იმისი მამა სოფლის მეურნეობას მისდევდა და კარგის შეძლების პატრონად ითვლებოდა. დედა პროფესორის მენკენის ქალი იყო. პატარაობისას ბისმარკი მეტად ცელქი და მოუსვენარი რამ იყო, მთელ დღეს თამაშობასა და მეზობელ ბიჭებთან ჩხუბში ატარებდა. 7 წლისა ბისმარკი მოსამზადებელ სასწავლებელში მიაბარეს, ხოლო 12 წლისა-ბერლინის ერთს გიმნაზიაში. მაგრამ ახალგაზდა ბისმარკმა იქ ვერ მოისვენა და მეორე გიმნაზიაში გადავიდა.

საზოგადოდ ბისმარკს სასწავლებელში ყოფნა ძალიან უძნელდებოდა, სკოლის წეს-რიგს ვერ ურიგდებოდა; მასწავლებლებს ხშირად ეჩხუბებოდა და ეკამათებოდა. ბისმარკის მადლიერი არავინ იყო, ყველანი უჩიოდნენ. მიუხედავად ამისა 17 წლისამ, ბისმარკმა გიმნაზია გაათავა და გეტტინგენის უნივერსიტეტში შევიდა. უნივერსიტეტში ყოფნის დროს ბისმარკი უმეტეს ნაწილად ქეიფს, დროს გატარებას, გართობას ანდომებდა. და ლექციებზედ იშვიათად დაიარებოდა, მაგრამ, როგორც დიდის ნიჭის პატრონი ეგზამენების წინად ორ სამ დღეში მთელის წლის გავლილის დასწავლას მაინც ასწრობდა. ამავე დროს ბისმარკს წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა და ქეიფისაგან თავისუფალ დროს თითქმის ამას ანდომებდა.

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ მომავალი კანცლერი მსახურობდა ჯერ ბერლინის ერთს სასამართლოში, შემდეგ პროვინციის ადმინისტრაციაში. მაგრამ ორის წლის შემდეგ ამ სამსახურს თავი მიანება და ჯარში შევიდა. მამის სიკვდილის შემდეგ ჯარიდგანაც [illegible] და თავის მამულებს დაუბრუნდა. აქ ბისმარკმა თავისის ქეიფითა და დროს გატარებით დიდი სახელი გაითქვა. ბისმარკს ისე უყურებდნენ მეზობლები, როგორც თავზედ ხელაღებულ ყმაწვილ კაცს. როდესაც ბისმარკმა ფონ-პუტკამერის ქალს სთხოვა ცოლად გამომყევიო, ეს ამბავი ქალის დედ-მამამ ძალიან იწყინა, მაგრამ ბისმარკი ისეთი კაცი არ იყო უკან დაეხია და ერთხელვე განზრახული სისრულეში არ მოეყვანა: ბოლოს ის ქალი მაინც შეირთო. ცოლის შერთვის შემდეგ ბისმარკი ჯერ იმ პროვინციის სეიმის წევრად იქმნა არჩეული, სადაც თითონ სცხოვრობდა, ხოლო შემდეგ შეერთებულ სეიმის ანუ პარლამენტის წევრადაც. პირველი სიტყვა ბისმარკმა ლანდტაგში 1847 წელს წარმოსთქვა და მაშინვე ყველას ყურადღება მიიქცია. ამ დღიდგან იწყობა ბისმარკის საპოლიტიკო მოღვაწეობა.

ბისმარკის გულითადი სურვილი იყო პრუსიის გაძლიერება და იმის მეფის ამაღლება. ამ აზრის მისაღწევად ის ყოველ-გვარ საშუალებას ხმარობდა. პრუსიის პარლამენტს ფრთები შეაკვეცა და ჩამოართვა ყველა ის უფლება, რაც წინადა ჰქონდა. ჟურნალ-გაზეთებს, თავის პოლიტიკის წინააღმდეგთ სასტიკად სდევნიდა, ჯარი ერთი ორად გაამრავლა და რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო დაამარცხა. ბისმარკის წყალობით პრუსიამ გერმანიის [illegible]ველი ადგილი დაიჭირა. მაგრამ უმთავრესი საქმე ბისმარკისა გერმანიის წვრილმანის სამთავროების შეერთება და მათგან ერთის სახელმწიფოს დაარსება იყო.

## ფელეტონი

### „ღმერთმა მისცეს მაგიერი“...

(მოთხრობა)

(დასასრული *)

III

— უი, ნეტავი გამაქრო, ადამიანო, რა მკვდრის ფერი დაგდებია, ავად ხომ არა ხარ?..

შეეკითხა საჩქაროდ ფეფენო თავისს ქმარს მიხრინკეს, როდესაც იგი მიუახლოვდა გახურებულს ბუხარს მინდვრიდგან მოსული, ცხენიდგან ჩამოხდომის უმალვე, და ხალიჩა დაფენილს ტახტზედ წამოწვა. გულ-გადაბრუნებული ფეფენო პასუხს ელოდებოდა.

— შენ უნდა ადამიანმა დაგიჭიროს და სულ კაწაწებით გათრიოს, კუდით ქვა გაკრეფინოს, გაუკრაჭუნა კბილები და თვალების ბრეცით შეხედა მიხრინკემ ცოლს. განა დედაკაცი გასაჩენია რა. „ყმაწვილს გულს შეაკლდება, დაიჩაგრებაო“, და იმ ძაღლის წიწილას ჯიბეებს ფულით უტენავდი. ის-კი არ იცოდი, ეს იმას გარყვნიდა, ის ჩვენ აღარ გამოგვადგებოდა. შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო, არის ნათქვამი და, მეც სულ იმას ჩაგჩიჩინებდი, ნუ ანებივრებ, თორემ ბოლოს ცხვირ-პირში ამოიკრამ მეთქი, მაგრამ შენ შენსას არ იშლიდი. აი, ეხლა უნდა ვიწვნიო, სირცხვილით თავი გარეთ არ უნდა გამომეყოფოდეს, თორემ ყველგან შენის შვილის უხეიროზის ამბავი უნდა დამხვდეს და გულს ლახვარი მეცეს. აი, დღესაც მამულის ჩხუბი გვქონდა და ჩემმა ძმამ გლახამ ანაზდეულად შემდეგი წამომძახა: „რა ოხერ-ტიალად გინდა ე არმათ შეძენილი ქონება? რამდენი ოჯახი დაგიღუპნია, მიწასთან გაგისწორებია, მაგრამ რისთვის, რის გულისათვის? რო ჩასძაღლდები, შენი არამზადა, უხეირო შვილი ორ დღეზე გაატიალებს, ძაღლსა და ღორს შეაჭმევს შენს ქონებასაო. განა საფლავში თან ჩაგაყოლებენო“, და ბევრი ამისთანები... მოდი და შენ ამისთანა სიტყვები გესმოდეს და ცოცხალი-კი იყო ქვეყანაზედ. ამისთანა თავსლაფის დასხმას, ყელი გამოვიჭრა ის მირჩევნია... არა, ან მე უნდა ვიყო და ან... წაიბუტბუტა ბოლმა ყელში მობჯენილმა მიხრინკემ.

— იი მეხი-კი დავაყარე და მედგარი ლაფასიან გლახას ი წილიან თავში. ჩემი შვილი რაში აგონდება, ი გოგოტრაყვები მოიშოროს თავიდგან ის ურჩევნია. თითონ ხო კარგი, ღვთისნიერი, წმინდა წყლის შვილები ჰყავს. კეკო არ არის, დედ-მამას ცეცხლს აყრის: „თუ მალე არ გამათხოვებთ და ქარუმას არ შემრთავთ, წავალ საითმე, თავს დავირჩობო?!.. ჩემს შვილს იმისთანა რა ჩაუდენია...

— იქნება ის მამულიც იმისათვის მოჰგონებ მოჭპრიანებია, გავყიდი და კეკოს დასანიშნ ფულებს ვიშოვნიო?.. სთქვა ეს მიხრინკემ და ცოლის ნალაპარაკებით დაინტერესებული ყურები აცქვიტა კურდღლის სუნ-აღებულ მეძებარსავით.

— რას ამბობ, ადამიანო, თურმე ერთი ისე გაალმასებულა, დედ-მამას სცოფამს, თუ გამათხოვებთ, წელსვე გამათხოვეთ, თორემ თუ ქარუმა სხვაზე დაინიშნა, მე თქვენს დედ-მამობაზე ხელს ავიღებ და მის დღეში აღარც გავთხოვდებიო.

— ვინ გითხრა, იქნება ვინმემ მოაჭორა, თორემ კეკო მაგეებს დედ-მამას როგორ გაუბედავდა, წამოისისინა გველურის შხამ-გესლიანობით მიხრინკემ, რომელსაც უნდოდა ცოლისათვის ყველაფერი დაეფქვევინებინა. ყოველივე ცოლის სიტყვა, გლახას ოჯახის უბედურების გამომხატველი, მიხრინკეს გულში ნათელს ჰფენდა, სიხარულის სიტკბოებით გაჟღენთილ ნექტარსავით უვლიდა მთელს ასო-ტანში—ეს რა გაიგონა ცოლმა... არა ეგ ტყუილი იქნება, გაუმეორა მიხრინკემ ცოლს.

— შენგან არ მიკვირს, ტყუილად მე ხომ არ მოვიგონებდი. დილას ჩემთან, ჩვენი მეზობელი მთ—ს ცოლი ნენე იყო. ის ხომ იცი, როგორც უშვილო დედაკაცი, მაგისთანა ამბებს სულით ეძებს და დღე მუდამ ცალი ფეხი ალთასა აქვს, ცალი ბალთას, აცა, სად რა ყურს მოვკრავ, რას გავიგონებო. ბოლმა გაჰხეთქამს, მუცლიდგან გამოჰტყვრება, სანამ, თუ გაიგო რამ, სხვას არ მიუტანა ამბავი. ცაში ფრინველების ამბების გაგება რომ გინდოდეს, იმას უნდა დაეკითხო. ამბობენ, ვიღაც ვიღაცეები გაზეთებს იწერავენო, ნეტავ ნენეს იცნობდნენ, აღარა მგონია, ისინი ტყუილ-უბრალოდ ფულებს-ღა დახარჯავდნენ... ჰო, იმას ვამბობდი, შემოვიდა ჩემთან ნენე და, სხვა საქმე-კი არა ჰქონდა-რა ჩემთან, მაშინათვე ის დამიწყო: „ი გაგლეჯილი კეკო რა თავსა სჭრის მთელს უბანს; თავისს დედ-მამას ხო მაგის ხელში არ ეცხოვრებათ. გუშინ დილას კეკოს დედამ შემომჩივლა, დედაკაცო, აპალთია ჩემის ხელით ყელს გამოვიჭრიო, კეკოს ხელში მოსვენება აღარა გვაქვსო, როგორც იყოს და არ იყოს ქარუმა უნდა შემრთოთო... მოდი და შენ ამისთანა დროში ეხლანდელ გასათხოვარ ქალებს ნამუსი სთხოვე. უწინდელსავით რა შეირცხვნიან და ერთი წელიწადი მამამთილს-მაზლებს არ დაელაპარაკებიან... უწინდელი დრო აღარ არის და აკი იმიტომ არც ღმერთი და იძლევა მოსავალს; განა ესეთი ავადმყოფობა კი გაგონილა უწინ, როგორც ეხლაა, რომ ორ-სამ დღის ავადმყოფობით, ერთი უბრალო გაციებით ბუზებივით იხოცებიან“...

ცოლ-ქმრის ამისთანა ლაპარაკს კარგა დიდ ვახშმობამდის დასასრული არ ჰქონდა. მიხრინკე მზად იყო ცოლის ამგვარ ლაპარაკისათვის ორ-დღე-ღამე ყური ეგდო. ეს რა ამის გულის გასახარებელი, გულის მოსაფხანი ამბები გაიგონა ფეფენომ! რაღაც ეშმაკურმა ღიმილმა მიხრინკეს სახეზედ შეითამაშა: „ჰა, მაცადე, მე გაჩვენებ, როგორი ნიშნის მოგებაც უნდა, ეხლა-კი იმედი მაქვს, ჯავრს ამოვიყრი, შენს სისხლს დავლევ; არა მგონია ხელი შემიკანკალდეს, შენ ისეთი ისარი მკარ ე გულ-მუცელში: „ჩასძაღლდები და თან რას ჩამოგაყოლებენო“. აბა ვნახოთ, როგორი ჩაძაღლება უნდა, ციხეში რომ ამოვალპობინებ შენს თავს. „შენი უხეირო შვილიო“. ჰა, შე... შე... შე.. რატო მაშინათვე სასულე არ ამოგაძრე, მაგრამ არ მგონია შენმა შვილმა კეკომაც ქარუმათი გაიხაროს. მაშ ცოცხალი აღარ ვიქნები ქვეყანაზე, მიწას აღარ დავლახავ. ქარუმაც ხო ჩემი ნამოჯამაგირალია, მაგრამ ჯერ იმას დედ-მამასთან უნდა გავახერხო საქმე. ქარუმას, როგორ შეუძლიან ჩემს სიტყვას წინ გადაურ-

*) იხ. „ივერია“, № 155.

ეს ამბავი 1871 წელს მოხდა, როდესაც ბისმარკმა საფრანგეთი საშინლად დაამარცხა, თვით პარიჟი აიღო და დამარცხებულ ფრანგებს ელზას ლორენი წაართვა. ასეთის გამარჯვების წყალობით, გერმანია ძლიერ, მბრძანებელ სახელმწიფოდ გარდაიქცა. 1870 წლიდგან დაწყებული თავადი ბისმარკი მთელ ევროპის საგარეო პოლიტიკას წინ უძღოდა. უიმისოდ არც ერთი საერთა-შორისო საგანი არ გარდასწყდებოდა.

შინაც ბისმარკი უმეტეს ნაწილად ბრძოლას ანდომებდა დროს. რკინის კანცლერი ებრძოდა პარლამენტს, კათოლიკეებს, სოციალისტებს. ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ მან სასტიკი კანონები გამოსცა. საზოგადოდ ბისმარკი იმდენად სასტიკად იქცეოდა, რომ თვით გერმანელები არ იყვნენ კმაყოფილნი.

ასე მიდიოდა დრო ვიდრე 1890 წლამდე, როდესაც ახალგაზრდა იმპერატორის ვილჰელმის წყალობით, ბისმარკი იძულებული გახდა თანამდებობიდგან გადამდგარიყო. ბისმარკს უნდოდა ვილჰელმი ხელთ ჩაეგდო, თავის ნებაზედ გაეტარებინა, მაგრამ ახალგაზრდა, თავმოყვარე იმპერატორი სულ სხვასა ჰფიქრობდა. იმპერატორს თვით უნდოდა მბრძანებელი ყოფილიყო და ყველგან თავისი გაეტანა. ამიტომ ბისმარკი ვერ შეურიგდა მას და განშორდა სახელმწიფო საქმეებს.

ეს უკანასკნელი 8 წელიწადი ბისმარკი ფრიდრიხსრუეში სცხოვრობდა, მაგრამ პოლიტიკას მაინც დიდის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს.

ი. ა.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა ნება დართო გადადებულ იქმნას ქუთაისის დედათა უფასო სასწავლებლის შენახვის ასაგებად 500 მან. მთავარ-მართებლისავე განკარგულებით ამ სასწავლებლის ერთხნობით დასახმარებლად გადაიდო 200 მან. იმ თანხიდგან, რომელიც ამიერ-კავკასიის სასწავლებელთა დასახმარებლად გადასდო ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებამ.

*** კავკასიის გზათა ოლქის უფროსმა წარუდგინა მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს გზების შესაკეთებლად და გაყვანისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, რომლითაც მომავალ წლისათვის აღრიცხულია 6,000,000 მან.

*** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ რაკი მომავალ დეკემბრიდგან საფოსტო მატარებლები დაიწყებენ სიარულს ბაქო-პეტროვსკის რკინის გზაზედ, ამიტომ რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ფოსტა ამ გზით იქმნას ხოლმე გაგზავნილ-გამოგზავნილიო. ამასთანავე სამმართველომ გამოარკვია ის, რომ ფოსტა გზაში იმდენს ხანსვე ივლის, რამდენსაც დღეს უნდებოდა კავკავის სამხედრო გზით.

*** რაკი საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილებაა კავკასიურ ხალიჩებისა და ქსოვილებისა, ამიტომ პეტერბურგის დიდ ვაჭრებს აგენტები გამოუგზავნიათ კავკასიაში ხალიჩებისა და ქსოვილების სასყიდლად და დასაკვეთად.

*** მეფუტკრეთა მომავალ კრების თავმჯდომარე პეტერბურგის პროფესორი ბ-ნი გლაზენაპი ტფილისში ყოფნის დროს 15, 16 ან 17 აგვისტოს წაიკითხავს საქველ-მოქმედო აზრით ლექციას შემდეგის პროგრამით: მარსი და იმის თანამოგზაურნი. საზოგადო სახე მარსისა, იმის მოძრაობა, მარსის თანამოგზაურნი, მათის მოძრაობის განსაკუთრებული თვისება. პლანეტის ზედა პირი. ზღვები, მიწები და არხები მარსისა. დრო-გამოშვებითი ცვლილებანი მარსის ზედა პირისა. მარსის ატმოსფერა; პლანეტის შემადგენელი ნაწილები. მეცნიერების აზრი მარსის ცხოველების და მცენარეულობის შესახებ.

*** კვირას, 19 ივლისს, ლილოს სასოფლო საზოგადოების მინდვრებში ნადირობდნენ ტფილისიდგან წასული მონადირეები. ნადირობის დროს ჩხუბი მოუვიდათ ძაღლებს და ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტროლის მოხელემ ო—ვმა თოფის კონდახით დაუწყო ცემა ძაღლებს გასაშველებლად. ჩახმახი დაუკეტავი ჰქონდა თოფს და დაარტყა თუ არა ძაღლებს, თოფის კონდახი გადასტყდა ჩახმახთან და თოფი გავარდა, ტყვია ო—ვს მუცელში მოხვდა და მძიმედ დასჭრა... დაჭრილი ამხანაგებმა მახლობელს დუქანში მიიყვანეს, ჭრილობა შეუხვიეს და ტფილისისაკენ გამოისტუმრეს, მაგრამ ტფილისამდის ჩამოსვლა ორ დასცალდა და გზაშივე გარდაიცვალა.

*** ის ხმა, რომ კოჯორში ალაიბეგ მურსაკულოვის წინამძღოლობით ყაჩაღთა მთელი ბრბო გაჩნდაო, როგორც ბოქაულმა ფირუმოვმა გამოიკვლია, ტყუილი გამოდგა.

*** პარიჟის მომავალ 1900 წლის გამოფენისათვის კავკავის რკინის გზის გამგეობა ამზადებს: სახალხო მატარებლების ორთქლ-მავალს; ნიმუშს ორთქლ-მავალისას, რომელიც 10,000 მან. ეღირება, ნავთის გრძელს ქვაბს, რომელმაც 1,500 ფუთი ნავთი უნდა დაიტიოს; 1, II და მე-IV კლასის ვაგონებს; პირუტყვის გადასაზიდ ვაგონებს და სხვას.—

*** ქ. თელავი, 15 ივლისი. ივლისის სიცხე-პაპანაქებამ ქირნახული აღრე დაამწიფა და პური შემოიყვანა. ამიტომ ამ ჟამად თელავის მაზრასა და საზოგადოთ მთელს კახეთში გაცხარებული მუშაობაა. შეჰყურებს გლეხი თავისს წლის ნაშრომს და ხალისიანად ჰლევის ოფლს: არ დაგიდევს არც სიცხე პაპანაქებას და არც ავდარს. მოსავალი უხვია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ მდარე ადგილებს, და მასთან ამ ხანად სიცხისაგან შეხუთულ სიმინდისა და ფეტვის მოსავალს. სიმინდისათვის ეხლა სწორეთ ის დროა, როცა მარცვალს იკეთებს, გვალვამ კი მეტად შეაწუხა, ფოთლები დაუჭკნო და დაუმჩვარა!.. მეტადრე გამოღმა მხარეს შესამჩნევად ეტყობა უწყლობა, რადგან აქ ურწყავი ადგილებია. ვენახების მოსავალიც კარგია და ჯერ უვნებელათაც არის. თუ ბოლომდე ასე გასტანა, მგონი გლეხებს ქურჭლებიც აღარა ჰქონდეთ ღვინის ჩასასხმელად. მაგრამ აქ ჩვენ გვავიწყდება სხვის სარჩოთი მსაზრდოებელნი — ჩარჩ-ბაცაცები, რომელნიც თავიანთ საზომო—საწყაოებს გლეხის მოსავლისათვის ამზადებენ. და ჩვენი ინტელიგენცია-კი ამათ წინააღმდეგ არასა ჰზრუნავს, იგი არხეინათ „ნადიკვარზედ“ „თამარ ქალი“ სა, „ფაცხა მეგრულისა“, და სხვა სიმღერებით თავს იქცევს, იმის მაგივრათ, რომ ან დევნო და ან სხვა გლეხისათვის გაჭირვების დროს ხელ-გასამართი რამ დააწესონ....

*** 19 ივლისს, ღამე, ქალაქის მეექვსე ნაწილში ტფილისის მაზრის მცხოვრებლები ალექსი ადამიშვილი და ივანე დაგაკიშვილი კიბის შემწეობით, ტოლლეს ქარხნის ჭერში ავიდნენ, იქიდგან ქარხნის კანტორაში ჩავიდნენ და მოიპარეს ყუთი, რომელშიაც 500 მანეთი იყო, დამნაშავენი შეიპყრეს. ყუთი ებრაელთა სასაფლაოს მახლობლად ხრამში დამტვრეული იპოვნეს. დამნაშავეთ ფული არ აღმოაჩნდათ. ადამიშვილი და დაგაკიშვილი წინად ტოლლეს ქარხანაში მუშაობდნენ.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“ სწერენ ქუთაისიდგან, რომ 18 ივლისს ქალაქის ერთს ბაღში მძიმედ იქმნა დაჭრილი ხანჯლით დიდიმ ჩიკვაიძე, ძმა ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის მმართველის კ. ი. ჩიკვაიძისაო. დ. ჩიკვაიძე ჩხუბის დროს დასჭრა თავ. მიქელაძემაო.

*** 1 ივლისიდგან 18 ივლისამდის ტფილისში ავად გამხდარა ყვავილით 8, ყელ-ჭირვებით—1 და წითელით—1.

## რიონ-გაღმის კუთხის ამ-ბარგი

აბრეშუმის პარკი და მისი ვაჭარ-ჩარჩები.—სიმინდის გაძვირება და ვაჭრების ზარალი.—ახალი მამასახლისები, და ჩვენის გზების ბედ-იღბალი.—ჩვენის კუთხის ეტლები, „ნესტორისტები და იოსებისტები“, მათი ყვინჩილ-მამლობა და „კომპანიონების“ შექმნა.—სწავლა-განათლების სხივმა ჩვენს მიმალულ კუთხეში ჯერ ვერ შემოანათა.—ორიოდე სიტყვა ამაღლების მეორე კლასიან სამრევლო სკოლის შესახებ.—ოთხ-საწოლიან ქსენონის დაარსების შესახებ ს. ამაღლებაში.—ქურდობა.

გაჩნდა აბრეშუმის პარკი თუ არა, სოფლებშიაც გაჩნდნენ ჩარჩები სომეხ ბერძნები; თესლების დამრიგებლებსა და ამ კერძო ვაჭრებ შორის შეიქნა დატაკება პარკის ყიდვაში; პირველები აძლევდნენ ფუთში ცამეტ მანეთს, მეორენი კი 13 მან. და 50 კ., რაღა უნდა ექნათ თესლის დამრიგებლებს, იმათაც უნდა აეწიათ ფასი, ამ გვარად ფუთი პარკის ფასი ავიდა 14 მანეთამდე. როგორც ამბობენ, სოფლებში ჩარჩებმა ბევრს მოჰპარეს წონაში თურმე პარკი; ფუთზედ მაინც ოთხ-ხუთ გირვანქას იპარავდნენო, ზოგი ძველებურ ყანთარზედ სწონავდა და ზოგი დიდს

---

ბინოს... ახ, როდის იქნება დავთვრე შენის... შენ... ბოლმა, ბრაზი გავხეთქო. იმ დრომდის ვერ მოვისვ*...

და ამ ფიქრებში გართულ მიხრინკეს ჩაეძინა, შურის ძიების წყურვილ წადილით გაჟღენთილი გულ-გონება მოასვენა, მაგრამ არა მგონია ძილი მაინც მოსვენებული, უშფოთველი ჰქონოდა... აკორატებული სული ძილშიაც-კი უღრინავდა....

### IV

....კვირაცხოვლობის წინა დღეა. გაზაფხული სამეფო ტახტზედ აბრძანებულ-გამეფებულა, ბუნება კეკლუც მორცხვ პატარძალსავით შეუმჩნევლად ირთვებ-იკაზმება, გრძნეულის ხელით ნაკურთხ თავზედ ზურმუხტის ჯიღა-გვირგვინი დაუდგამს, ალმასმარგალიტებით ნაქსოვ-ნაქარგი. სათუთ, ნებიერ ძარღვებში ცხოველს მყოფელი მჩქეფარე სისხლი ჩასდგომია. ზამთრის ყინვა-სიცივისაგან ძლივს არ განთავისუფლდა, ძლივს არ ეღირსა შვებით ამოფშვინმა!.. მაჯაც რომ ეხლა მარდად უცემს, სიცოცხლე ჰფეთქს, სდუღს და გადმოდის ნაპირებიდგან... მინდვრ-ველიც თვალის წარმტაც ახატულ-ჩახატულ სანახაობით ჰხიბლავს ადამიანის გულ-გონებას. ხეხილიც გაფურჩვნილ გადაშლილა, აკოკრებულ-ათქვირებულა არც ნაკლები სიხარული ჩიტებს შეჰქმნიათ—ფრინველებს ერთი გნიასი გააქვთ, ჭიკჭიკ-გალობით არე-მარეს აყრუებენ. ჰაერი ყვავილთ კეთილ სუნნელოვანებით გაჟღენთილა... ადამიანნი ხარბად ისუტ ეწაფებიან ამ მაცოცხლებელს საყნოსველს.

კარგა ხანია დაღამდა. ყველას დასძინებია მთელის დღის თავაუღებელის შრომა-გარჯილობისაგან დაღალულ-დაქანცულთ. მხოლოდ გლახას ქვიტკირის ქაღალდ-გაკრულ ცალ-თვალთ ფანჯრიდგან მბჟუტავ სანთლის მკრთალი სინათლე გამოსჭვირს. სახლში მყოფ პარასკოს, კეკოს ერთგულ დობილ სოფოსა და წვრილ-ფეხა ყმაწვილებს ერთი ალიაქოთი გააქვთ. გლახა საპყრობილეში ჰზის და რა იცის, რომ იმისი შვილი კეკო ეხლა სიკვდილს ებრძვის, ცას ბეწვით-ღა ჰკიდია. ხაჰის საბან ქვეშიდგან მხოლოდ კეკოს სანთელივით ჩამომხვალი სახე-ღა მოსჩანს. შავი, მოელვარე თვალები-ღა ჰმოწმობენ, რომ კეკოს სიცოცხლის ძაფი ჯერ არ გაწყვეტია, ისევ ჰფეთქავს, ეს ორი კვირაა სოფო ლოგინიდგან არ მოშორებია კეკოს. კეკომ იცოდა, რომ ამისი საყვარელი ქარუმა ხვალ ჯვარს იწერს.

— სოფიო, ნეტა ვიცოდე, — დინჯად, წყნარის ჩურჩულით დაატოკა კეკომ ფერ-წასული, აბიძგებული ტუჩები,—ჯვარის წერა რად აუჩქარებიათ, რატო შემოდგომამდის არ მოიცადეს?..

— ქალო, დღე ერთი იყო და მისვლა ათასი, შენი ბიძა ისე ჩააცივდა ქარუმასა და იმის დედ-მამას, რომ აღარსაით უსახსრა. „ოღონდ ჯვარის წერა ეხლა მოახერხეთ და რაც ფული დაგეხარჯებათ, ჩემიდგან მიიღეთო“, უთხრა თურმე ბიძა შენმა. აბა, ხო იცი, გლეხობაა, ისინიც დახარბდნენ ფულებს; თუ-კი სახარჯო ფულებს ეგ მოგვცემს, ჩვენ რაღა გვენაღვლება, ამაზე მეტი სიკეთე რაღა იქნებაო, ადგნენ და იმათაც საჩქაროთ მოამზადვინეს ქორწილი. პური არ უყიდნიათ და ღვინო. ბარგის შესამოს-გადასაკვრელი ჩითეულობაც თურმე მიხრინკეს ფულით იყიდეს...

— ღმერთმა მისცეს მაგიერი... ნურც სააქაოს ნახოს კეთილი და ნურც საიქიოს ჩემის ასე უდროვოდ წუთი სოფლის გამოსალმებისათვის. განა არ ვიცი, ცოტა ხანი-ღა დამრჩომია სიცოცხლე... ქარუმაზედაც გულ-ნატკენი ვარ, მაგრამ იმას რა დავემდურო—იქნება ძალის-ძალათაც გააბრიყვეს, აღარ მოუსვენეს საწყალს, თორემ ის ისეთი გულისა არის, თავის პირს არ გადავიდოდა, არ მიღალატებდა. ღმერთა მისცეთ მაგიერი, ღმერთმა... და გაყვითლებულს ღაწვებზედ კუფხალ-კუფხალი ცრემლები ჩამოსდიოდა კეკოს, რომლებსაც დახაიათებულ-გამხმარის თითებით იწმენდდა.

ძალ-ტყავად ნაქცევი კეკო მძიმე, მიკნავებულის ხმით ჰლაპარაკობდა და თან სული ყელს ებჯინებოდა. მალმალე გული ეპარებოდა და ცივის წყლით ასულიერებდნენ. პარასკო-კი ამ დროს გულ ამოსკვნილი, ცხარე ცრემლით იღვრლფ-იმდუღრებოდა ფარულად, არ უნდოდა შვილისათვის რაიმე ეჭვი ელებინებინა. თუნუქის ლამპრის მოციმციმე ალი-კი მკრთალს სინათლეს ჰფენდა აქაურობას. ხან აბჟუნტდებოდა, ხან ერთს წამს ისევ მიილულებოდა, ასე გონია სახლში მყოფთ ანიშნებს, თვალს უშვრება, თავი დაანებეთ კეკოს, რაღა თქვენი შეწუხება ეჭირვება, არ ეყო ამოდენა ტანჯვა-მწუხარება, ეგ თქვენ აღარ გეკუთვნით და ამიტომ ამ სოფლიურის ამბებით ტყუილ-უბრალოდ ნუღარ უშფოთებთ, უწამლავთ უკანასკნელს წამებს მაინც, ადექით, ცოტა ხნით მაინც მოშორდით... აი თითქოს აქ მყოფთ ისმინეს მბჟუნტავ სანათლის დიდის ხნის ხვეწნა-მუდარა და უძილობა, ღამის ტეხისაგან შეწუხებულნი ძილმა მოიპარა. ჩასძინებოდათ... ამასობაში კიდეც გათენებულიყო, მზე კარგა მაღლა მოსჩანს მოკრიალებულ ლაჟვარდოვან ცის გუმბათზედ, მთელის სოფლის ახალგაზრდობა მეზობელ სოფლის დღეობაში მიეშურებიან... შორიდგან მაყრულის ხმაც მოისმის... ეს სამხიარულო ხმა თანდათან ახლოვდება. სახლში მყოფთ მკაფიოდ ესმით... კეკოს მისუსტებულ ტანში რაღაც გამოურკვეველმა ჟრუანტელმა დაურბინა... ნეტა ვინ იქნებიან... თითქოს გულმა უგრძნოო, ჩრჩოლვა დაუწყო...

— ქარუმა, დედავ, ქარუმა მოდის მაყრიონით, შემოირბინა სახლში ქასქასით პარასკოს პატარა ქალმა.

— სოფო, შენ გენაცვალე, ერთ წამს წამომსვით, შორიდგან მაინც თვალი მოვკრა ჩემს...და ისეც ფერნაკლებ კეკოს სრულებით გამოელია ფერი, გულმა ძალზედ ძაგა-ძუგი დაუწყო, გული მისდიოდა, მაგრამ როგორც იყო თავი შეიმაგრა. სოფო და პარასკო მხრებში შეუჯდნენ კეკოს და წამოსვეს. ქარუმას მაყრიონიც „მოგვყავ და მოგვიხარიანის“ სიმღერით ამათ სახლს დაუპირდაპირდა.

— ვერ უყურებთ, ქარუმა რა რიგ მოხდენილად გამოჭიმულა ცხენზე... მხრებზე ყაბალახი... მგონია აღარც კი ახსოვს... პირობა... ნეტავი ეხლა... ახლო მაინცა მქნა... პირდაპირ თვალებში შემეხედნა ჯერ... არც მაშინ მოაგონდება... მიმაწვინეთ... მიმ... ეს რა მემართ... თვალები... მიბუნ... წყალი... წყ... ქარ... და ამ სიტყვებით კეკო გათავდა.

აცრემლებულ სოფოსა და პარასკოს ხელში მარტო უსულო, გაფირფიტებული გვამი ღა შერჩათ...

ე. მ—შვილი

სასწორზედ, ამით უფრო ეხერხებოდათ მოპარვა.

აბრეშუმის თესლი წელს აქეთ ბევრი იყო დარიგებული, ზოგიერთ ოჯახს ორი კოლოფი თესლი ჰქონდა; თუმცა ბევრგან წახდა წელს, მაგრამ, საზოგადოდ რომ ვთქვათ, თითოეულ ოჯახს საშუალო რიცხვით კიდევ შეხვდება ოც მანეთამდე, ასე რომ რიონ-გაღმის კუთხიდგან კიდევ გავიდოდა წელს 120 ათასის მანეთის პარკი; წინა წლებში აბრეშუმობას ჩვენში უფრო იშვიათად მისდევდნენ, ეხლა-და-ეხლა ეს დარგი მრეწველობისა თანდათან ფესვს იკიდებს, უფრო და უფრო წარმატებაში შედის; მომავალს წელს ოჯახი არ დარჩება, რომ თითო კოლოფი თესლი მაინც არ მოეპოვოს. სხვათა შორის წელს პარკის ვაჭრობამ ჩვენი მიყრუებული კუთხე ერთობ აამოძრავა და გამოაცოცხლა: გაჩაღდა ვაჭრობა, მისვლა-მოსვლა, ურმების ღრიჭინი, ეტლების ზარის რაწკუნი, ფულების დახურდავება, იარმუკაში ქალების ვაჭრობა. ერთის სიტყვით, ყოველ მხრით ეტყობოდა რაღაც სიცოცხლე, სახეზე ცოტაოდენი მხიარულება დაჩნდათ აქაურ მიძინებულ მცხოვრებლებს. მოხუცებულებსაც-კი თვალები გადმოაპრაწებინა იმ დალოცვილმა ოქროს ხუთ-მანეთიანებმა!

—

მოგეხსენებათ, რომ აქეთ სიმინდი გვარიანად მოდის; გაძვირდა თუ არა სიმინდი, დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონდათ ჩალვაჭრებს და მეურმეებს; აუარებელი სიმინდი გაიზიდა დ. სამტრედიაში, ფუთი გადიოდა თერთმეტ შაურამდე; ბევრმა იფიქრა, კიდევ მოიმატებს ფასსო და სიმინდს არ შეელივნენ, მაგრამ უცებ დაიწია ფასმა და გახდა შვიდ შაურად ფუთი. ასე უეცრად ფასის დაწევამ სიმინდის ვაჭრები მეტად დააზარალა; ბევრს ვაჭართაგანს დარჩა ნაყიდი სამტრედიაში რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი.

წელს სიმინდის ყანებს კარგი მოსავლის პირი უჩანს, ღვინის მოსავალი კი თანდათან კლებულობს: ჯერ უმეტეს ნაწილად ვაზები დახმა, რომლებიც გადარჩა და გამოიღო ნაყოფი, მარცვლები ისევ მალე გასცვივდა; უფრო გამოადგა ის ვაზი, რომელსაც უწოდებენ სახელად — „მწვანე“-ს, ბარდიც კარგი აქვს და რიგიანადაც ასხია. ამბობენ, რომ ს. გადიდში და სხვა მთა გორიან სოფლებში ღვინის მოსავალს უფრო კარგი პირი უჩანსო. ღმერთმა ჰქმნას, ჩვენს მეზობლებს თუ ექმნებათ, თუ გინდ ჩვენ გვქონია, საყიდლად მაინც ვიშოვით ახლოს. დღეს-დღეობით-კი კარგს საქმეს შვრება ისევ სატირალი; წავა ცოლ-შვილით საწყალი გლეხი კაცი და გვარიანად შექეიფდება ღვინით.

—

ახალმა მამასახლისებმა ჩვენში გაამართლეს ხალხური ანდაზა: მართლაც პირველად ვითომ დატრიალდნენ, ახალის ცოცხვით გვარიანად მიუსვ-მოუსვეს, მერე-კი აეყუდნენ კარს უკან და არიან დღესაც ატუზულნი, თითქო შეჰყურებენ პატარძალს, როდის მოგვავლებს ხელს და მიგვიქნევ-მოგვიქნევსო. როდესაც გზების შეკეთება დაავალეს, მაშინ „კი, ბატონო“-თი გაათავეს საქმე, მერე-კი თავი აღარ შეუწყენიათ. არა მგონია, რომ სადმე იყოს ისეთი დახრამული და ჯოჯოხეთური გზები, როგორიც გორას საზოგადოებაშია. რას აკეთებს აქ მამასახლისი! სკოლის დაარსების შესახებ არას ფიქრობს, წიგნთ საცავ-სამკითხველოს და დეპო-ბანკების სახელი სულ არ გაუგონია; მაშ მარტო სამმართველოში ჯდომა და ბეჭედის ტკაცუნი კმარა მისთვის?!. გორას საზოგადოებაში ითვლება 1000-ზედ მეტი კომლი მცხოვრებლებისა, თავად აზნაურობა კიდევ სხვა არის; ერთ კლასიანი სასწავლებელიც არა აქვთ, როდესაც 200—300 კომლიან სოფლებს აქვს დღეს ორ-კლასიანი სასწავლებელი. ვანის საზოგადოების მამასახლისმა ამოაღებინა გზის ორივე ნაპირას თხრილები, შეზვინ-შეზურგა გზა ამონაყარის მიწით და მიანება თავი; გაავდარდება თუ არა, ფხვნილი მიწით შეზურგულ გზაზედ მუხლებამდე ტლაპო სდგას და ვიღას შეუძლია გავლა. ტოპანიერის საზოგადოების მამასახლისმა პირველად წააყარ-წამოაყარა ტალახს აგერ-ევერ ქვიშა, ვითომ დამალა ტალახი, მაგრამ ტყუილად, გაწვიმდება და უწინდელზედ უარესად გაფუჭებულია გზები.

დადგა მაისი თუ არა, გლეხებმა ყანების მუშაობას მოჰკიდეს ხელი, ივნისის გასულს ხარებიც მთაზედ გარეკეს; მამასახლისებს რომ ჰკითხოთ ეხლა გზების შესახებ, თამამად გიპასუხებენ, ეხლა არ შეიძლება მუშაობაო, რადგანაც სოფელში ხარი არ იშოვებაო; აგვისტოს გასულს ჩამოჰრეკავენ მთიდგან, მაშინაც ხომ ისევ წვიმები და ავდრიანი დღეები დადგება და ჩვენი გზები საზამთროდ დარჩება ისევ სატირალ-სავალალოდ. დიახ, ჩვენი მამასახლისები მამების მაგივრად ჩვენის სოფლების მამინაცვლები გახდნენ!

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს ივლისის გასულს მთელის რუსეთის ბეითალთა კრება გამართოს ქ. პეტერბურგში. კრებამ, სხვათა შორის, უნდა მოილაპარაკოს პირუტყვის სახელმწიფო და საერობო დაზღვევის შესახებ.

— ამ ჟამად მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, რომ ნება მოგვეცით შინა-მრეწველობის სამუდამო კომიტეტები დავიარსოთო. კომიტეტებს საგნად ექმნებათ თვალ-ყური ადევნონ მხოლოდ ადგილობრივ გავრცელებულ შინა-მრეწველობას და ხელი შეუწყონ მრეწველობის საქმის განვითარებასო.

— საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ბოგოლეპოვმა არ შეიწყნარა თურმე ტომსკის სტუდენტთა შუამდგომლობა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზედ გადასვლის შესახებ, რადგან მომავალ წელს ტომსკის უნივერსიტეტთანაც იქმნება დაარსებული იურიდიული ფაკულტეტი.

— კიევის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს მომავალ სექტემბრის 15 ფრინველთა გამოფენა გამართოს ქ. კიევში. გამოფენა გასტანს 10 დღეს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საბეითლო კომიტეტს განზრახვა აქვს პარიჟის მომავალ საერთაშორისო გამოფენისათვის დაამზადოს წერილი საბეითლო საქმის აწინდელ ყოფა-მდგომარეობის შესახებ და ამ აზრით საჭირო ცნობები მოსთხოვა რუსეთის ყოველ საგუბერნიო და საერობო ბეითალს. ამას გარდა კომიტეტს აზრადა აქვს გამოფენისათვის დაამზადოს ისეთი საპატოლოგიო და საფიზიოლოგიო პრეპარატები, რომელთაც სამეცნიერო მნიშვნელობა ექმნებათ.

— ამ დღეებში პეტერბურგს მისულან პარიჟის სახელოვნო აკადემიაში სწავლა დამთავრებული ახალგაზდა მხატვრები აბატიე და რაული, რომლებიც თავიანთ ამხანაგებს დანაძლევებიან, რომ ფეხით უგროშკაპეიკოთ წავალთ პეტერბურგს და გზაში სულ 100 დღეს დავყოფთო. მხატვართ სანაძლეო მოიგეს თურმე, რადგან დანიშნულ ვადაზედ ადრეც მისულან პეტერბურგში და თანაც არც ერთი კაპეიკი არ წამოუღიათ. მოგზაურობის დროს მხატვართ იმ ფულით გამოუკვებნიათ თავი, რომელიც გზაში დახატულ სურათების ყიდვით აუღიათ და ამას გარდა გარეულ მტრედებისა და თაგვების ხოცვით.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** სანტ-იაგოს იმ მცხოვრებლებთ, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მადლობის ადრესი გაუგზავნიათ შეერთებულის შტატების მთავრობისათვის. მცხოვრებლნი, გაზეთების სიტყვით, მადლობას უცხადებენ შეერთებულ შტატებს ესპანიის მონობისა და მტარვალობისაგან განთავისუფლებისთვის. შემდეგ ადრესში ნათქვამია: „ჩვენ იმდენი ძალა და ცოდნა შეგვწევს, რომ შეგვიძლიან საკუთარი მთავრობა დავაარსოთ და თვით განვაგოთ შინაური საქმეები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კუბა რამოდენსამე ხნის შემდეგ შტატებს შეუერთდება; მაგრამ დღეს სასურველია, რომ კუნძულის მცხოვრებლთ ნება მიეცეთ თვით მმართველობა დაიარსონ. ეჭვი არა გვაქვს, რომ სანტ-იაგოს, რომელსაც ჯერ ისევ ესპანიის მოხელენი განაგებენ, მალე ჩვენ გადმოგვცემს. მაშინ ამერიკის დროშასთან ერთად სანტ-იაგოს თავზედ აღმართული იქმნება კუბის დროშაც.“

— ამერიკის გაზეთების სიტყვით, უატსონის ესკადრამ, რომელიც ათის საუკეთესო გემისაგან შესდგება, ბრძანება მიიღო კართაგენისაკენ წადი და გამარის ფლოტი გაანადგურეო. ამასთან უატსონმა ის ბრძანებაც მიიღო, რომ ესპანიის სანაპირო ქალაქებს ხელს ნუ ახლებ და ყუმბარებს ნუ დაუშენო. ევროპის გაზეთები ამბობენ: „ამერიკა უატსონის ძლიერ ესკადრას ესპანიის ნაპირებისაკენ იმიტომ აღარა გზავნის, რომ ევროპისა ეშინიან. მართლაც და შესაძლებელია, რომ დღემდის დაზოგებულმა ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა აღარ მოითმინონ და მეომართა საქმეში ჩაერივნენ, თუ შეერთებულის შტატების ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ესპანიის სანაპირო ადგილებსა. საზოგადოდ ევროპას არ ეჭაშნიკება ამერიკელების შემოსევა“.

—

**საფრანგეთი.** პარიჟის გაზეთებმა ყველაფერი დაივიწყეს და მხოლოდ ზოლას შესახებ-და ლაპარაკობენ. როგორც დრეიფუსის მომხრე, აგრეთვე იმის მოწინააღმდეგე გაზეთებმა რეპორტიორები გაგზავნეს სხვა-და-სხვა მხარეს ზოლას მოსაძებნად და იმის გასაგებად, თუ სად იმყოფება და რას აკეთებს შესანიშნავი მწერალი. ზოლას პარიჟიდგან წასვლა საზღაპრო ამბად გარდაიქცა. ათასგვარ მითქმა-მოთქმასა და ლაპარაკს დასასრული არა აქვს. რადგანაც თვით ზოლა პარიჟიდგან წავიდა, მოხელეთ იმის ქონების საჯაროთ გაჭრობა დანიშნეს იმ ხარჯის აღსადგენად, რა ხარჯიც ზოლას საქმის გარჩევის დროს სასამართლომ გასწია. ეს ხარჯი 8,000 ფრანკამდე იქმნება. ზოლას ქონება უკვე ასწერეს და ამ დღეებში თვით გაჭრობასაც შეუდგებიან.

—

**ამერიკის შეერთებული შტატები.** შარშანდელი წელიწადი შეერთებულის შტატების წარმოება-მრეწველობისათვის მეტად სახეირო და სასარგებლო წელიწადი იყო. ამ წელს ორჯელ მეტი საქონელი იქმნა გატანილი შტატებიდგან, ვიდრე წინა წლებში. წინად ამერიკას უფრო მეტი საქონელი შემოჰქონდა სხვა სახელმწიფოებიდგან, ვიდრე იქიდგან გაჰქონდათ. წელს-კი გატანილმა საქონელმა 1,200 დოლლარით გადააჭარბა შემოტანილ საქონელს. გარდა ამისა, მრავალი სიმდიდრე შესძინა ამერიკას პურის შარშანდელმა გა- [illegible] საშინელის სისწრაფით მიდის წინ. იმის საქონელს ევროპის საქონელი თვით ევროპაშიაც-კი ვეღარ უწევს მეტოქეობას, არამც თუ სხვაგან სადმე. ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებას ევროპის სახელმწიფოები შიშით შეჰყურებენ. განსაკუთრებით ძალიან შეაფიქრიანა ამ გარემოებამ გერმანია, რომელსაც დიდ ძალი საქონელი გააქვს მსოფლიო ბაზარზედ. ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებას ზედ დაერთო შეერთებულის შტატების პოლიტიკური გაძლიერებაც. გაზეთების სიტყვით, მონროეს დოქტრინა: „ამერიკა ამერიკელებისთვის“ დღეს შეერთებულ შტატებს აღარ აკმაყოფილებს. იმას ევროპის დიდ სახელმწიფოებსავით სხვა ქვეყნების დასაკუთრება უნდა. გაზეთები ეხლა ერთხმად გაიძახიან, რომ ესპანიასთან ომის შემდეგ შეერთებულის შტატების მთავრობა უმთავრესს ყურადღებას ჩინეთს მიაქცევს და ინგლისისა, გერმანიისა, რუსეთისა და სხვებსავით მოიწადინებს ამ სახელმწიფოში ფეხის ჩადგმასაო. ასე თუ ისე, თვით ევროპის გაზეთებისავე სიტყვით, ამერიკის მრეწველობა-ვაჭრობის გაძლიერება კარგს არ უქადის ევროპას.

—

**ავსტრია.** ავსტრიის დედა-ქალაქ ვენაში ამ დღეებში გაიმართება მთელის ქვეყნის ქვა-მაღაროებში მომუშავეთა კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი ინგლისისა, ბელგიისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, იტალიისა, ჩეხიისა და სხვა ქვეყნისა. კამათი გაიმართება ოთხს ენაზედ: ინგლისურსა, ფრანგულსა, ნემეცურსა და ჩეხურზედ. უმთავრესი საგნები, რომელიც კონგრესმა უნდა განიხილოს, არიან: მაღაროებში მომუშავეთათვის დღეში რვა საათის მუშაობის შემოღება; მომატება სამუშაო ფასისა, დაარსება ქარხნის პატრონების მიერ მუშათათვის საპენსიო კასებისა და სხვა. ამბობენ კონგრესს აუარებელი მუშა ხალხი დაესწრებაო.

# ნარევი

—

ერთი ღვინის კარგად მცნობი ჩავიდა სირაჯხანაში, ღვინოების ჭაშნიკი გასინჯა და წამოიძახა:

— დიაღ, აწინდელი ღვინის დუქნების საქმეს დიდად საშიში სენი სჭირს, თუმცა უკურნებელი არ არის ეს სენიო.

— სენიო? გაიოცეს: რა სენი?

— წყალმანკიო, უპასუხა მან.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში პოლიციამ აღმოაჩინა ქალთა ერთი უცნაური კლუბი. ამ კლუბის წევრებად მხოლოდ ისეთ ქალებს იღებდნენ, რომელთაც თავის მოკვლა ჰქონდათ განზრახული. წევრები თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ, კენჭსა ჰყრიდნენ და ვისაც ერგებოდა კენჭი, თავი უნდა მოეკლა. პოლიციამ ამაზედ წინად აღმოაჩინა და გააუქმა ერთი ასეთივე კლუბი, მხოლოდ იქ წევრებად კაცები იყვნენ და არა ქალები. ქალთა კლუბი სულ ნახევარი წელიწადი არსებობდა და ამ ხნის განმავლობაში თავი მოიკლა ექვსმა ქალმა: მინპი კლარკმა, ბესსი დენბარმა, ტილლი ლორესონმა, მერი კრიპომ და ანნა კუპერმა. ექვსივე ლამაზი და ახალგაზდა ქალი ყოფილა. არც ერთს მათგანს სიღარიბე და გა- [illegible] დეგ, იმას ვისაც კენჭი ერგებოდა, ერთის თვის განმავლობაში უნდა მოეკლა თავი. პოლიციამ შეიპყრო ამ უცნაურის კლუბის ყველა დანარჩენი წევრი.

* * *

ყველამ იცის, რა დიდი ზარალი და წყენა მოაქვს თამბაქოს წევას. მკურნალების მოწმობით, თამბაქოს წევისაგან მრავალი ხალხი ხდება ავად, ბევრი წუთისოფელსაც-კი ესალმება. დღითი დღე ეს სენი არამც თუ კლებულობს, არამედ უფრო და უფრო ვრცელდება, იმ ქვეყანაში სადაც წინად მხოლოდ ხნიერი კაცები შეექცეოდნენ თამბაქოს, დღეს ქალებიც-კი აღარ თაკილობენ იმის მოწევას, ახალგაზდა კაცებზედ ხომ აღარაფერი ითქმის. სასწავლებლებში თამბაქოს მოწევა გადამდებ სენად გარდაიქცა. ბევრგან რვა და ცხრა წლის ბავშვებიც ეწევიან. ამიტომ ბევრგან ყურადღება მიაქციეს ამ მავნებელ სენს და მოიწადინეს, თუ იმის სრულიად აღმოფხვრა არა, შემცირება მაინც. ამერიკის 30 შტატში თამბაქოთი მოვაჭრეთ ნება არა აქვთ მოზარდებს მიჰყიდონ, ხოლო ზოგიერთ სხვა შტატში—ყველა იმას ვინც სრული წლოვანი არ არის. ეხლა ასეთსავე ზომებს ნორვეგიაშიაც მიჰმართეს. სტორტინგის (პარლამენტის) წევრებისაგან შემდგარმა კომიტეტმა შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლის ძალითაც მედუქნეებს ნება არ ექმნებათ თამბაქო მიჰყიდონ იმას, ვინც თექვსმეტ წლისაზედ ნაკლები იქმნება. ამ პროექტითვე მოზარდებს აეკრძალებათ თამბაქოს ქარხნებში მუშაობა. პოლიციას ნაბრძანები ექმნება სადაც დაინახავს, რომ ახალგაზდები სწევენ, წაართვას მათ ჩიბუხები, პაპიროსები და სიგარები. ვინც პოლიციას არ დამორჩილდება, იმას 20-დგან 100 კრონამდე ჯარიმას გარდაახდევინებენ.

* * *

ეკკლესია და სკოლა ისე არსად არ უყვართ, როგორც ამერიკაში. არც ერთ ამერიკელს უეკკლესიოდ ცხოვრება არ შეუძლიან. საზოგადოდ გავრცელებულია ის ხმა, რომ ამერიკელები ღვთის მორწმუნე ხალხი არ არისო; ამერიკელების ღმერთი მარტო ფუ-

ლიაო. ეს აზრი შემცდარი აზრია. მართალია, ამერიკელებს ფული ძალიან უყვართ, მაგრამ ამასთან ისინი ღმერთსაც არ ივიწყებენ. ძნელად შეხვდებით ამერიკაში კაცს, რომ ღმერთი არა სწამდეს, ღვდელს დიდის მოწიწებით არ ექცეოდეს და ყოველ კვირაუქმე დღეს ეკკლესიაში არ დაიარებოდეს. ამით აიხსნება სწორეთ ისიც, რომ ამერიკაში აუარებელი მწვალებელია. სადაც უნდა დასახლდნენ ამერიკელები, გინდა მხოლოდ სამი ან ოთხი კომლი იყოს, პირველი იმათი საზრუნავი ეკკლესიის აგება იქმნება. აი, რას მოგვითხრობს ბ-ნი პისარევსკი, რომლის წერილიც „Церк Вѣст,“-შია დაბეჭდილი. „ამერიკელები დიდი მოყვარულნი არიან ეკკლესიისა. დაჯეშმარიტებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სადაც სამი ან ოთხი ამერიკელი დასახლდება, იქ უეჭველად ეკკლესიაც უნდა გაჩნდეს. ამერიკის უდაბურ ადგილებში, ისეთ ადგილებში, სადაც უტეხი ტყის მეტი არაფერია, მოგზაურობის დროს თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ეკკლესია, სკოლა ან ისეთი შენობა შეგეხჩებათ, სადაც ორივე ერთად არის მოთავსებული. ამ ეკკლესიისა და სკოლის გარეშემო-კი სულ ექვსი ან შვიდი კომლი სცხოვრობს, ისიც რამდენისამე ვერსით ერთი-ერთმანეთზედ დაშორებული, ეკკლესიას და სკოლას ასეთ შემთხვევაში ამერიკელები შუა ადგილას აშენებენ. კვირა ან უქმე დღეს ყველანი იკრიბებიან და დიდის მოწიწებით ისმენენ ლოცვას. ლოცვის შემდეგ იქვე ეკკლესიის მახლობლად ნადიმს ჰმართავენ, რისათვისაც საჭირო სურსათი თან მოაქვთ ხოლმე. შემდეგ ბავშვები და ახალგაზდა ქალები და კაცები თამაშობით ირთობენ თავს, ხოლო მოხუცებული კაცები თამბაქოს შეექცევიან და ქალები ართავენ ან სხვა რამ ხელ საქმეს აკეთებენ. მაგარი სასმელების დალევა ამ დღეს სასტიკათ არის აღკრძალული. საღამოს ლოცვის შემდეგ ყველანი შინა ჰბრუნდებიან“.

---

## გამოსადეგი ცნობა

ხშირად სარდაფში შენახული სანოვაგე აღარ გამოდგება ხოლმე საჭმელად, რადგან სინესტისა გამო ცუდი გემო ეძლევა, ამიტომ კარგი იქმნება სარდაფის იატაკი თვეში ორჯელ ან სამჯელ დანაყილის ნახშირით მოჰფინოთ ხოლმე და ისეთსავე ამოიტანოთ სარდაფიდგან სანოვაგეს, როგორსაც პირველად ჩაიტანთ.

---

## ორიოდე სიტყვა ხაშმის წიგნთ-საცავის შესახებ.

აგერ ნახევარი წელიწადია, რაც ხაშმის წიგნთ-საცავმა ოფიციალური საქმიანობა დაიწყო. იანვრის 24 ამა 1898 წ. მიიღო ნებართვა ბ-ნმა გ. ს. ნახუცრიშვილმა წიგნთ-საცავის დაარსებისა. ამ დღიდგან ბ-ნ გამგეს არ მოუკლია გულმოდგინე შრომა მეცადინეობა წიგნთ-საცავის გაწესრიგებისა, წიგნების შეძენა-გაცემისა, ოთახის გალამაზებისა და სხვისათვის. როგორც წიგნთ-საცავის დავთრებიდგანა სჩანს, სულ ჰქონიათ 800 წიგნი—550 ქართული და 250 რუსული. 1 თებერვლიდგან 1 ივლისამდე წიგნთ-საცავიდგან გაუტანიათ სულ 400 წიგნი. ამა რიცხვს შორის თებერვალში—65, მარტში—192, აპრილში—40, მაისში—103. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თებერვალში გამგეს გაუღია წიგნთ-საცავი ოთხჯერ, მარტში—8, აპრილში—3, მაისში—5, საფუძველი გვექმნება ვიფიქროთ, რომ რაც ხშირად გაღებულა წიგნთ-საცავი, მით უფრო მეტი წიგნები გაუტანიათ მკითხველთ.

ამისათვის სასურველია, წიგნთ-საცავის გულშემატკივართ მიაქციონ ამ საქმეს ყურადღება და გამგეს ამოურჩიონ თანაშემწე ამ საქმეში. სასურველია და საჭიროც, რომ თანაშემწის თანამდებობას იკისრებდეს რომელიმე ხაშმელი ქალთაგანი. სასურველია და საჭიროც ვამბობთ იმისათვის, რომ ჩვენში კიდევ მძლავრად ფეხ მოკიდებულია ქართველური მორიდება, რის გამოც ხშირად მოზრდილ ქალებს ეთაკილებათ და ეხათრებათ წიგნთ-საცავში მისვლა წიგნების გამოსატანად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეხლა, როდესაც მთელს ხაშმის მოზარდ-თაობას საზაფხულოდ თავი მოუყრია, ამ წიგნთ-საცავის საქმე, როგორც ბევრი სხვა საჭირბოროტო საგანიც, მოძრაობასა და წარმატებაში წავა, ჯეროვანს გზას დაადგება და სიცოცხლის ელფერი დაეტყობა.

ნ. კ.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 ივლისი

**პეტერბურგი.** 19 ივლისს დილით მათ უდიდებულესობასთან ერთად მეფე და მემკვიდრე დაესწრნენ ღვთის მსახურებას ტაძარში, შემდეგ წავიდნენ პეტერგოფის სასახლეში, სადაც ნაშუადღევის 1 საათზედ გაიმართა საუზმე. საუზმის შემდეგ მეფე და მემკვიდრე გამოეთხოვნენ ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს, საბერძნეთის მეფის მეუღლეს, დიდ მთავრებსა და დიდ მთავრინებს და გაემგზავრნენ რკინის გზის სადგურისაკენ. ხელმწიფე იმპერატორმა გააცილა მეფე და მემკვიდრე სადგურამდის სადაც შეკრებილიყვნენ საიმპერატორო გვარეულობის ყველა წევრი. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ მატარებელმა გასწია მოსკოვისაკენ.

**ჰამბურგი.** Hamb. Nachrichten-ი სწერს, რომ პარასკევს თავ. ბისმარკი შედარებით კარგად იყო, შაბათს დილით გაზეთებს კითხულობდა, ლაპარაკობდა პოლიტიკაზედ, სვამდა და სჭამდა. უცებ ფილტვებში ტკივილების აღძვრისა გამო ცუდად გახდა და ღამის 11 საათზედ სული დალია მშვიდად, უტანჯველად. საწოლს გარს დასტრიალებდა ოჯახის ყველა წევრი და იქვე იყვნენ ახლად ჩამოსული შვენინგერი და კრიზანდერი. უკანასკნელად თავ. ბისმარკმა მ-ჰმართა გრაფინია ნანცაუს, რომელიც შუბლსა სწმენდდა და უთხრა: „გმადლობ, შვილო ჩემო“. თავადის გვამი ისე სძევს, თითქოს სძინავსო; სახე დამშვიდებული აქვს.

**ბერგენი.** (ნორვეგიაშია). გუშინ საღამოს იმპერატორს პირველად მოუვიდა ამბავი ბისმარკის ავადმყოფობის შესახებ; დღეს დილით—რომ გარდაიცვალაო. ხომალდ „გოგენცოლლერნზედ“ ბაირაღი ნახევრად იქმნა ჩამოშვებული. სამხედრო დღესასწაული გადადებულ იქმნა. იმპერატორმა ბრძანა უკანვე გერმანიაში დაბრუნება და ხვალ საღამოს ჩამოვა კილში.

**ბერლინი.** მთელი დღე დიდადა სწუხს ხალხი თავ. ბისმარკის გარდაცვალებას. ყველგან თავადზედ ლაპარაკობენ და ყველა დიდად დაღონებულია ამის გამო.

**ვაშინგტონი.** მინისტრთა საბჭოს კრებაზედ ლაპარაკი აღიძრა ფილიპეს კუნძულების შესახებ. დაადგინეს, გარდაუწყვეტავი დასტოვონ ეს საქმე, რადგან შეიძლება იგი ამერიკელ-ესპანელთა კომისიამ გარდასწყვიტოს. ზავის დასამყარებლად კაბინეტმა მიიღო შემდეგი მუხლები: 1) დაეთმოს ესპანიის ვესტ-ინდიის ყველა კუნძული კუბას გარდა; 2) უარჰყოს ესპანიამ თავისი უფლებანი კუნძულ კუბაზედ; ამერიკელთ უფლება ჰქონდეთ თვალყური ადევნონ კუნძულს, ვიდრე იქ მთავრობა არ იქმნება დაარსებული; 3) ქვა-ნახშირის სადგურის დასაარსებლად დაეთმოს ამერიკას ერთი მარიამის კუნძულთაგანი და ამავე აზრით ერთი კაროლინის კუნძულთაგანი; 4) ამერიკელები არაფერს არა ჰკისრულობენ კუბას მიერ სახელმწიფო ვალის აღების საქმეში; 5) არავითარს ჯილდოს სამხედრო ხარჯისათვის ამერიკელები არა თხოულობენ; 6) ზავის პირობათა დადგენა მიენდოს ამერიკელ-ესპანელთა კომისიას, მხოლოდ კუნძულ კუბასა და პორტო-რიკოდგან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი ესპანიის ჯარი.

დღევეს დეპეშამ, რომელიც მიღებულ იქმნა კრების დროს, დიდად შეუწყო ხელი ფილიპეს კუნძულთა საქმის გამორკვევას. დეპეშით იწერება: „თანდათან საჭირო ხდება დაწყებულ იქმნას ბრძოლა მეამბოხეებთან, ამ საქმისათვის იძულებული გავხდები სხვა-და-სხვა კუნძულზედ 150,000 ჯარის-კაცი გადავიყვანო.

**მადრიდი.** გაზეთები იუწყებიან, რომ სიუდ-ურგელის მიდამოებში თავი იჩინა ბრბომ, 300 კარლისტმა. მათ დასაპატიმრებლად ჯარი იქმნა გაგზავნილი.

**ვაშინგტონი.** ამერიკის პრეზიდენტსა, დეესა და კამბონს შორის მომხდარ კონფერენციას შედეგად მოჰყვა ზავის დასადებ პირობათა გამორკვევა და დადგენა. მას შემდეგ, რაკი კამბონმა ჯეროვანი საბუთები მოიყვანა თავისს სიტყვების დასამტკიცებლად, პრეზიდენტი და დეე დასთანხმდნენ ერთის მუხლის შეცვლაზედ, სახელდობრ რომელ მუხლისა, არავინ იცის. კამბონმა გაჰგზავნა მადრიდში ყოველივე დასკვნა კონფერენციისა დასამტკიცებლად.

21 ივლისი

**მოსკოვი.** აქ მოვიდა რუმინიის მეფე და მემკვიდრე. რკინის გზის სადგურზედ მიეგება დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. სადგურიდგან პირველის ეტლით წამოვიდა მეფე დიდ მთავართან და მემკვიდრე გენერალ-ადიუტანტ არსენიევთან ერთად. რუმინიის მეფის მიღების პროგრამმა: 20 ივლისს ნაშუადღევის პირველ საათზედ საგვარეულო საუზმეს გაჰმართავს მათი უდიდებულესობა; 3 საათზედ მეფე დაათვალიერებს დრემლს; 8 საათზედ სადღესასწაულო სადილი ექმნება მათ უდიდებულესობას; 21 ივლისს დილის $10^1/_2$ საათზედ დაათვალიერებს მოსკოვის ღირს-შესანიშნავ ადგილებს; დღის პირველ საათზედ საუზმეს გაჰმართავს მათი უდიდებულესობა და კონცერტსა სინოდის მგალობელთა გუნდი; $3^1/_2$ საათზედ ღირს-შესანიშნავ ადგილებს დაათვალიერებს; 7 საათზედ საგვარეულო სადილი ექმნება მათ უდიდებულესობას; საღამოს $9^1/_2$ საათზე მეფე იუსუპოვთან მივა და 22 ივლისს დაათვალიერებს სამების ლავრს.

**ბერლინი.** ბერლინსა და მთლად გერმანიაში ყველა შეწუხებულია თავ. ბისმარკის გარდაცვალებით. ყველგან სამგლოვიარო დროშა არის გამოკიდებული, გაზეთებში აუარებელი წერილები იბეჭდება ბისმარკის შესახებ და გაზეთები მუდამ დღე სამგლოვიარო არშიით გამოდიან. ბისმარკის ანდერძისამებრ იმისი გვამი უნდა დასაფლავებულ იქმნას ფრიდრიხსრუეში და ამის გამო თავ. გესაბერტ ბისმარკმა მადლობით უარჰყო წინადადება იმპერატორისა, რომ თავადის გვამი ბერლინის ტაძარში იქმნას დასაფლავებულიო.

**ბერლინი.** „Belchsankelqer“-ში დასტამბულია დეპეშა იმპერატორისა თავ. გესაბერტ სპენსერთან: „ვუერთდები-რა მწუხარებას, რომლითაც აღვსილია თქვენი გული ძვირფასს და დიდის კაცის გარდაცვალებისა გამო, მე ვგლოვობ გერმანიის საუკეთესო ბეგის დაკარგვას. რომლისაც ერთგულებამ და თანაგრძნობამ სამშობლოს შეერთების საქმეშიდ, განსვენებულის პაპჩემის დიდის იმპერატორის მეგობრობა მოუპოვა სამუდამოდ და აგრეთვე მთლად გერმანიის ერის პატივისცემა დაიმსახურა სამუდამოდ. მისს ნეშტს დასაკრძალავად მე ადგილს ვუთმობ ბერლინის ტაძარში ჩემ წინაპართა გვერდით.

იმპერატორმა ბრძანა 10 დღის მგლოვიარება სასახლეში და 8 დღის სამხედრო მგლოვიარება. ყოველ მთავრობის დაწესებულებაზედ გამოკიდებულია ბაირაღი და ნახევრად ჩამოშვებულია. ბაირაღები თავ. ბისმარკის დასაფლავებამდის ამ გვარად იქმნება გამოკიდებული ქუჩებში.

**ვაშინგტონი.** ზავის პირობაში შესატანი ცვლილება რაც კამბონმა შესძლო და მოახერხა, ფილიპეს კუნძულთა მომავალს ბედ იღბალს შეეხება.

**ჰამბურგი.** ფრიდრიხსრუედგან გვატყობინებენ, რომ თავ. ბისმარკის სახეს სიმშვიდის ბეჭედი აზის. მიცვალებულს ჰდარაჯობენ ტყის მოხელეები და საპატიო დარაჯნი. იმ ადგილას, რომელიც თვით თავ. ბისმარკმა აირჩია, დადგმულ იქმნება დიდი ძეგლი, სადაც შემდეგ დაასაფლავებენ კნეინა ბისმარკისასაც. თავისს ხელით მოწერილს ანდერძის ქაღალდით თავ. აცხადებს, რომ მსურს საქსენგალდას ვიქმნე დასაფლავებული და ჩემის საფლავის ქვაზედ მსურს, რომ მხოლოდ ეს ეწეროს: „თავადი ბისმარკი. დაიბადა 1 აპრილს 1815 წ. და გარდაიცვალა...“ ამას უნდა მიემატოს: ერთგული გერმანელი მონა და მოსამსახურე“ იმპერატორის ვილჰელმი I-ისა“.

**პეტერბურგი.** ყუბანის ყაზახთა სამხედრო შტაბის უფროსი გენერალ მაიორი გერშელმანი დანიშნულ იქმნება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ხელ ახლად ცალკე ნომრებად იყიდებოდეს გაზ. „Петербургскія Вѣдомости“ და „Биржевыя Вѣдомости“.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას უცხადებ თავად გიორგი ალექსის ძეს ჩხეიძეს, რომელმაც დიდი ჯიხაიშის წიგნთ საცავ-სამკითხველოს შემოსწირა 42 მ. 45 კ. მისგან ბათუმში შეკრებილი. ამ გვარსავე მადლობას ვუძღვნი იმ ქველმოქმედთაც, რომელთაც თ. ჩხეიძის თხოვნით შემოწირულება გამოიღეს. სია შემომწირველთა: თ. გიორგი ა. ჩხეიძემ 10 მან., ეკატერინე ბერძენიშვილმა, პავლე დოროჟნევმა, იულია ბერძენიშვილმა, მელქისედეკ კახიანმა, ლავრენტი ხუნგიამ, სერგეი იმხაძემ, გიორგი თოიძემ, ვასილ ბებიამ, ნიკო ქვანიამ, ქრისტინე კახიანმა, ვარნა ჯიშკარიანმა, ბიკტორ კახიანმა, ი. გვარამაძემ, კოსტა მაჭარაძემ, მაქსიმე ლომიამ, კატო კახიანისამ, ნესტორ ელიავამ, ბიკტორ დიდიამ, იოსებ საბახტარაშვილმა, იაგორ-ურუშაძემ, ნიკოლოზ ჟღენტმა, ალექსანდრე მაჭავარიანმა და ბესარიონ სუსარეიშვილმა თითო მანეთი. პირფირე გოცირიძემ, სტეფანე ქვანიამ, პელაგია ლომინაძემ, ნესტორ სიხარულიძემ, იოსებ ალასანიამ, მიხეილ თედრიამ, კოსტა დუმბაძემ, ილიკო ბურჯანაძემ, გიორგი წიტაშვილმა, ნიკო კაკაბაძემ, ალექსანდრე დემეინსკიმ, გერასიმე ჟოჟიკაშვილმა. ნოე ქყონიამ, იულიან დუმბაძემ, მაქსიმე კიკვაძემ, ათანასე გუგუშვილმა, სარდიონ დუმბაძემ,—ათ-ათი შაური კ. დარჩიამ,—40 კაპ., ი. ფალიატომა, —35 კაპ. და ი. კანდელაკმა,—20 კაპ.

დიდ ჯიხაიშის სამკითხველოს მმართველი
პოლიკარპე ლორთქიფანიძე

---


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ტფილისის უძრავ მამულების პატრიონთა საყურადღებოდ, რომ, საბჭოს ამ წლის 2 მარტის განაჩენის თანახმად, დადგენილ იქმნა 1898 წლისათვის დაფასების დამატებითი გარდასახადი მამულზედ $^1/_{16}$ %, რაც ჩვეულებრივის გარდასახადის $^1/_{12}$ ნაილს შეადგენს. გარდასახადის შესატან ვადად დანიშნულია ივლისის თვე და ვინც ამ თვეში არ შემოიტანს გარდასახადს, დაჯარიმებულ იქმნება დასაფასებელ გარდასახადის ვაზედ შემოუტანლობისათვის დადგენილ დაჯარიმების წესისამებრ.

(3—5.—3)

# ტყავის დასარბილებელი აპარეტურა კელერისა

ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან.

მშვენიერი საშუალებაა იმისათვის, რომ ყოველგვარმა ტყავმა შავ დ დაიწყოს ელვარება და არ დასველდეს წყლისაგან.

დაუფასებელი რამ არის ქალთა ფეხთსაცმელისათვის, რადგან **ტანისამოსს არ ახდენს.** მშვენივრად ინახავს და ახალს ამგზავსებს ყოველ გვარ ტყავის ნაწარმოებს, როგორც მაგალითად, საკვოიაჟს, პორტმანს, ცხენის იარაღს, ტყავისაგან დამზადებულს სამხედრო საგნებს, ეტლებს და სხვა. ფასი მეტად ხელმისაწვდენი აქვს.

(3—მ.—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ 21 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.